გორლოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

Gorlov and Others v. Russia

საჩივრები Nos. 27057/06, 56443/09 და 25147/14

გადაწყვეტილება

02.07.2019

მუხლი 8-1

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება

შიდა კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს გარანტიებს ძალადობის წინააღმდეგ, საკნებში დაკავებულთა მუდმივი ვიდეოთვალთვალის წინააღმდეგ: *დარღვევა*

ფაქტები – მომჩივნები, თავიანთ საკნებში ყოფნისას, მუდმივი ვიდეომეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ ციხის ზედამხედველების მიერ, CCTV კამერების საშუალებით. CCTV კამერის მონიტორინგს რეგულარულად ახორციელებდნენ ქალი ოფიცრები.

სამართალი

I. საჩივრების გაერთიანება

57. სასამართლო, საკუთარი რეგლამენტის 42§1 მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას საჩივრების გაერთიანების შესახებ, მათი ფაქტობრივი და სამართლებრივი მსგავსების გათვალისწინებით.

<u>II. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა</u>

58. მომჩივნები დავობდნენ, რომ მათი საკნების მუდმივი სათვალთვალო კამერით მეთვალყურეობა, რომელიც ძირითადად ქალი ზედამხედველების მიერ ხორციელდებოდა, არღვევდა მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-8 მუხლით, და განისაზღვრება შემდეგნაირად:

"1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი … ცხოვრება…

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური

კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.”

ბ. სასამართლოს შეფასება

1. დასაშვებობა

80. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35 § 3 (ა) მუხლის საფუძველზე. გარდა ამისა, ის არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლებით. შესაბამისად, იგი უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

2. არსებითი განხილვა

(ა) ზოგადი პრინციპები

81. სასამართლო თავიდანვე ხაზს უსვამს თავის მყარ პრეცედენტულ სამართალს, რომ პატიმრები ზოგადად აგრძელებენ კონვენციით გარანტირებული ყველა ფუნდამენტური უფლებითა და თავისუფლებით სარგებლობას, გარდა თავისუფლების უფლებისა, როდესაც კანონიერად დაწესებული პატიმრობა პირდაპირ ხვდება კონვენციის მე-5 მუხლის მოქმედების ფარგლებში (იხილეთ *Hirst v. the United Kingdom (no. 2)* [GC], no. 74025/01, § 69, ECHR 2005-IX). მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც ართმევს პირს თავისუფლებას, იწვევს გარკვეული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, პირი არ კარგავს კონვენციით მინიჭებულ უფლებებს მხოლოდ პატიმრის სტატუსის გამო, მათ შორის, მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებას. ამრიგად, აღნიშნული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა სათანადოდ უნდა იყოს გამართლებული თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში (იხილეთ *Khoroshenko v. Russia* [GC], no. 41418/04, §§ 106 და 116-17, ECHR 2015, და იქ მითითებული წყაროები).

82. რაც შეეხება პატიმრის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას, სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავებულის მუდმივი ვიდეომეთვალყურეობის ქვეშ მოქცევა, რაც თავისთავად უკვე პირადი სივრცის არსებით შეზღუდვას წარმოადგენს, უნდა ჩაითვალოს სერიოზულ ჩარევად პირის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში (როგორც „პირადი ცხოვრების“ ელემენტი). შესაბამისად, ეს საკითხი ექვემდებარება კონვენციის მე-8 მუხლის დაცვას (იხილეთ *Van der Graaf (dec.), no. 8704/03, 1 June 2004*, და *Vasilică Mocanu v. Romania*, no. 43545/13, § 36, 6 დეკემბერი 2016).

(ბ) ზოგადი პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

i. ჩარევის არსებობა

83. მოცემულ შემთხვევაში, მთავრობამ აღიარა, რომ შესაბამის სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში (ციხის საკანი და დროებითი მოთავსების იზოლატორი) მომჩივნები მუდმივად იმყოფებოდნენ ვიდეომეთვალყურეობის ქვეშ, თავიანთ საკნებში ყოფნისას. მთავრობამ ასევე მიუთითა, რომ სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ადმინისტრაციებს და დროებით მოთავსების იზოლატორებს ჰქონდათ ვალდებულება, დაეყენებინათ CCTV კამერები ყველა საკანში და რომ დაკავებულთა მუდმივი ვიდეომეთვალყურეობა აღნიშნული დაწესებულებების უსაფრთხოების მექანიზმის განუყოფელი ნაწილი იყო. მათ ასევე აღიარეს, რომ CCTV კამერის მონიტორინგს რეგულარულად ახორციელებდნენ ქალი ოფიცრები.

84. მხარეებს შორის სადავო არ ყოფილა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ზომა წარმოადგენდა ჩარევას მომჩივანთა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში კონვენციის 8§1 მუხლის შესაბამისად. მსგავსი ჩარევა წარმოადგენს მე-8 მუხლის დარღვევას, თუ იგი არ იყო "კანონის შესაბამისი", არ ემსახურებოდა 8§2 მუხლში ჩამოთვლილ ლეგიტიმურ მიზნებს და ამ მიზნების მისაღწევად არ იყო "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში" (იხილეთ ზემოთ *Van der Graaf* (გადაწყვეტილება)).

ii. **იყო თუ არა ჩარევა "კანონის შესაბამისი"**

85. ევროსასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ტერმინი „კანონის შესაბამისი" კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით მოითხოვს, რომ სადავო ღონისძიებას ჰქონდეს გარკვეული საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში და შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპს, რომელიც ცხადად არის ნახსენები კონვენციის პრეამბულაში. ის წარმოადგენს მე-8 მუხლის ობიექტის და მიზანის განუყოფელ ნაწილს. ამდენად, კანონი უნდა იყოს ადეკვატურად ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი, ანუ ჩამოყალიბებული საკმარისი სიზუსტით, რათა ინდივიდმა - საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე - დაარეგულიროს თავისი ქცევა. იმისათვის, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები, მან უნდა უზრუნველყოს ადეკვატური სამართლებრივი დაცვა თვითნებობისგან და საკმარისი სიცხადით მიუთითოს კომპეტენტური ორგანოებისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლები და მისი განხორციელების წესი (იხ. სხვა მითითებებთან ერთად, *M.M. v. the United Kingdom*, no. 24029/07, § 193, 13 November 2012). ამდენად, ევროსასამართლო ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ არსებობს ადეკვატური და ეფექტიანი გარანტიები უფლების ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად. აღნიშნული შეფასება დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა შესაძლო ღონისძიებების ბუნება, მასშტაბი და ხანგრძლივობა, მათი განხორციელებისთვის საჭირო საფუძვლები, კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც გასცემენ ნებართვას, ახორციელებენ და ზედამხედველობას

უწევენ. ასევე, კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალების სახეობა (იხ. *Benedik v. Slovenia*, no. 62357/14, § 125, 24 April 2018, და სხვა მითითებებთან ერთად).

86. ევროსასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ხელისუფლების, განსაკუთრებით კი სასამართლოების ვალდებულებაა ეროვნული კანონმდებლობის განმარტება და გამოყენება. თუმცა, ევროსასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, რამდენად არის ეროვნული კანონმდებლობის განმარტების და გამოყენების შედეგები კონვენციის პრინციპებთან შესაბამისობაში, ისე როგორც ეს განმარტებულია სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე (იხ. Cocchiarella v. Italy [GC], No. 64886/01, §§ 81 და 8006, ECHR2).

87. წინამდებარე საქმეში მთავრობა ეყრდნობოდა სასჯელაღსრულების კოდექსის 83-ე მუხლს, წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონის 34-ე მუხლს, იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 4 სექტემბრის აღმასრულებელ ბრძანებას No279, შესწორებულს 2013 წლის 17 ივნისს და სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის 2005 წლის 13 აგვისტოს N 759 და 2008 წლის 25 აგვისტოს N 533 აღმასრულებელ ბრძანებებს, როგორც სადავო ღონისძიების სამართლებრივ საფუძველებს.

88. ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების კოდექსის 83-ე მუხლი სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციებს ანიჭებს უფლებას გამოიყენონ დაკავებულთა თვალთვალისა და კონტროლისთვის აუდიოვიზუალური, ელექტრონული და სხვა ტექნიკური საშუალებები. ანალოგიურად, წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონის 34-ე მუხლი ადგენს, რომ „აუდიო და ვიდეო აპარატურა შეიძლება გამოყენებულ იქნას წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების თვალთვალის მიზნით“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო დებულებები ადგენენ ზოგად წესს, რომელიც უფლებას აძლევს სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და წინასწარი დაკავების ცენტრების ადმინისტრაციებს გამოიყენონ ვიდეო თვალთვალი, ამ საკითხზე დამატებითი დეტალები არ არის ასახული. მაგალითად, ისინი არ აკონკრეტებენ, უნდა დაექვემდებაროს თუ არა თვალთვალს ორივე, როგორც გარე პერიმეტრი, ისე განთავსების ადგილები, დღის რომელ მონაკვეთში უნდა დაიწყოს ფუნქციონირება, მისი პირობები და ხანგრძლივობა, გამოყენებადი პროცედურები და ა.შ.. სასჯელაღსრულების კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული ვალდებულების თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაცია ვალდებულია მოახდინოს მსჯავრდებულების ინფორმირება კონტროლისა და თვალთვალის ზემოაღნიშნული საშუალებების გამოყენების თაობაზე. ინფორმაციის მიწოდების დადასტურება ხდება ხელმოწერის მოპოვების საფუძველზე.

89. ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ რთულია მიაღწიო აბსოლუტურ სიცხადეს კანონების შემუშავებისას. ზედმეტი სიხისტის თავიდან აცილების და ცვალებადი გარემოებებისადმი ფეხის აწყობის აუცილებლობა ნიშნავს იმას, რომ ბევრი კანონი გარდაუვლად ასახავს ტერმინებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ბუნდოვანია (see *Silver and Others v. the United Kingdom*, 25 March 1983, § 88, Series A no. 61). განჭვრეტადობის კრიტერიუმი არ შეიძლება განიმარტოს, იმგვარად, რომ იგი ითვალისწინებდეს მოთხოვნას, ჩარევის მარეგულირებელი ყველა პირობა და პროცედურა განისაზღვროს უშუალოდ კანონით, ხოლო „კანონიერების" მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუ საკითხები, რომლებიც ვერ რეგულირდება საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, აისახოს კანონქვემდებარე აქტებში (ibid., §§ 88-89 and 93-94; *Association Ekin v. France*, no. 39288/98, § 46, ECHR 2001-VIII; and *Lebois v. Bulgaria*, no. 67482/14, § 66, 19 October 2017). წინამდებარე საქმეში აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ კონტროლისა და თვალთვალის ტექნიკური საშუალებების ჩამონათვალი, ისევე როგორც მათი გამოყენების პროცედურა, უნდა დარეგულირდეს სხვა სამართლებრივი აქტებითა და რეგულაციებით (იხილეთ 33-ე პარაგრაფი ზემოთ).

90. მთავრობა დაეყრდნო იუსტიციის სამინისტროს No. 2006 წლის 4 სექტემბრის N279 აღმასრულებელ ბრძანებას, რომელიც შესწორდა 2013 წლის 17 ივნისს (იხ. პარაგრაფები 39-40 ზემოთ) და სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის 2005 წლის 13 აგვისტოს N759 და 2008 წლის 25 აგვისტოს N533 აღმასრულებელ ბრძანებებს, ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე სამართლებრივი აქტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და წინასწარი დაკავების ცენტრებში უსაფრთხოებისა და კონტროლის სისტემებისთვის ითვალისწინებს მხოლოდ ტექნიკურ მახასიათებლებს. მათში ასახულია ამგვარ დაწესებულებებში შენახვის, თვალთვალისა და კონტროლის ტექნიკური საშუალებების სია, მათ შორის CCTV სისტემები, და ის ტექნიკური და საინჟინრო სტანდარტები, რომლებიც თითოეულმა ამ საშუალებამ უნდა დააკმაყოფილოს. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტები არ ადგენენ სათვალთვალო კამერების გამოყენების რაიმე მეთოდს, პირობებს ან პროცედურებს. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში, აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს გასაჩივრებული ღონისძიების სამართლებრივ საფუძვლად.

91. ევროსასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლოები თავიანთ გადაწყვეტილებებში ასევე დაეყრდნენ იუსტიციის სამინისტროს 2005 წლის 3 ნოემბრის No. 204-dsp („მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის") აღმასრულებელ ბრძანებას, რომელიც შესწორდა („მხოლოდ შიდა მოხმარების") 2011 წლის 25 მაისის აღმასრულებელი ბრძანებით. პირველ რიგში, ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი აღმასრულებელი ბრძანება ვრცელდება მხოლოდ წინასწარი პატიმრობის ცენტრებსა და ციხეებზე. შესაბამისად, ცალსახად ვერ გახდება სადავო

ღონისძიების სამართლებრივი საფუძველი, რადგან იგი გამოიყენება სხვა ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მაგალითად, ისეთ დაწესებულებაში სადაც მეორე მომჩივანი იყო დაპატიმრებული.

92. გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტი კლასიფიცირებულია, როგორც „მხოლოდ შიდა გამოყენებისთვის“, აქედან გამომდინარე, მისი შინაარსი არ არის ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის. ამავდროულად, მომჩივნებმა აღიარეს, რომ შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებებში მოხვედრისთანავე ისინი ინფორმირებულნი იყვნენ მუდმივი მეთვალყურეობის შესახებ. ამ ფაქტის მიუხედავად, სასამართლო თვლის, რომ მიზანშეწონილია იმის ვარაუდი, რომ წინამდებარე საქმეში სადავო დოკუმენტის შინაარსი, ყოველ შემთხვევაში, მისი შესაბამისი ნაწილი, საკმარისად ხელმისაწვდომი იყო მომჩვნებისთვის (შედარებისთვის იხ. *Pasko v. Russia*, no. 69519/01, §§ 81-83, 22 October 2009, და *Lebois*, ციტირებული ზემოთ, § 67).

93. იგი ასევე აღნიშნავს, რომ რამდენადაც განსახილველი აღმასრულებელი ბრძანებების შესაბამისი ნაწილი ციტირებულია სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იგი შეიცავს მხოლოდ ზოგად დებულებას, რომელშიც ნათქვამია, რომ „გარკვეული მიზნებისთვის სათვალთვალო [CCTV] კამერების გამოყენება შესაძლებელია”. არსებითად, ეს დებულება მხოლოდ ასახავს სასჯელთა აღსრულების კოდექსის 83-ე მუხლის დებულებებს და წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონის 34-ე მუხლის დებულებებს, თუმცა არ აკონკრეტებს მათ. იგი არ ადგენს რაიმე კონკრეტულ წესებს, რომლებიც არეგულირებენ სადავო ღონისძიების გამოყენებისა და გაუქმების პირობებს, მის ხანგრძლივობას ან განხილვის პროცედურებს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რუსეთის უზენაესმა სასამართლომ, იურისდიქცია ორ დონეზე, განაცხადა, რომ სადავო აღმასრულებელი ბრძანება ადგენს ზოგად წესებს, რომლებიც მიზნად ისახავს დროებითი მოთავსების დაწესებულებებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რეჟიმის დაცვას, მაგრამ არ ადგენს რაიმე კონკრეტულ პროცედურას CCTV კამერების გამოყენებისათვის.

94. რაც შეეხება უკვე მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებებს, სასჯელთა აღსრულების კოდექსის 83-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს თვალთვალისა და კონტროლის აუდიოვიზუალური, ელექტრონული და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, „მსჯავრდებულთა ქცევის შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვების მიზნით“. თუმცა, არც ეს მუხლი და არც სასამართლოს ხელთარსებული სხვა სამართლებრივი აქტები არ აკონკრეტებენ, არის თუ არა ამგვარი ინფორმაციის მოპოვება შეზღუდული CCTV კამერების მონიტორინგით, ან არის თუ არა ეს ინფორმაცია ჩაწერილი და შენახული, და თუ ასეა, რა მოქმედი გარანტიები და წესები არეგულირებს იმ გარემოებებს, რომელთა

მიხედვითაც შეიძლება შეგროვდეს ასეთი მონაცემები, მათი შენახვის ხანგრძლივობა, მათი გამოყენების საფუძველი და გარემოებები, რომლებშიც შეიძლება განადგურდეს (შედარებისთვის იხ. *M.M. v. the United Kingdom,* ციტირებული ზემოთ, §§ 199-206). მნიშვნელოვანია, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტექნიკური მახასიათებლები ითვალისწინებს ჩანაწერების ვიდეოთვალის სისტემიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შენახვის ტექნიკურ შესაძლებლობას. სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ ასევე უნდა უზრუნველყოს ადეკვატური გარანტიები, რომ შენახული პერსონალური მონაცემები ეფექტურად იქნება დაცული არასწორი მოხმარებისა და ბოროტად გამოყენებისგან (იხ. *S. and Marper v. the United Kingdom* [GC], nos. 30562/04 and 30566/04, § 103, ECHR 2008).

95. რაც შეეხება მთავრობის მითითებას იმასთან დაკავშირებოით, რომ საქმეზე *Van der Graaf* მიღებული იქნა დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილება, სადაც მომჩივნის მუდმივი ვიდეოთვალთვალის ქვეშ მოთავსება დაახლოებით ოთხნახევარი თვის განმავლობაში აღმოჩნდა „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის და არეულობის ან დანაშაულის პრევენციისთვის“, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საქმე განსხვავდება წინამდებარისაგან. პირველ შემთხვევაში, სადავო ღონისძიება გამოყენებული იქნა ინდივიდუალური დაკავების რეჟიმში მყოფი ცნობილი პოლიტიკოსის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული პირის მიმართ. იგი ეფუძნებოდა დეტალურ შიდასახელმწიფოებრივ რეგულაციას, რომელიც, კერძოდ, ითვალისწინებდა ამგვარი ღონისძიების გამოყენების საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს და აწესებდა შესაბამის პროცედურას. ამ რეგულაციების შესაბამისად, მომჩივნის მოთავსება მუდმივი ვიდეო მეთვალყურეობის ქვეშ დადგენილ იქნა კომპეტენტური თანამდებობის პირის ინდივიდუალური და დასაბუთებული გადაწყვეტილებით, დადასტურებული იქნა საჭირო სამედიცინო დოკუმენტებით, რომლებიც ადასტურებენ მომჩივნის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას და აფასებენ მის ქცევაში სუიციდური მიდრეკილების არსებობას. გარდა ამისა, ყოველი გადაწყვეტილება, რომელიც გასცემდა ბრძანებას მომჩივნის მუდმივი ვიდეოთვალთვალის ქვეშ მოთავსების შესახებ, შემოიფარგლებოდა ორი კვირის მოქმედების ვადით, რის შედეგადაც ხდებოდა ღონისძიების რეგულარული გადახედვა (იხ. *Van der Graaf* (dec.), ციტირებული ზემოთ).

96. თუმცა, წინამდებარე საქმეში, მომჩივნების მუდმივი ვიდეოთვალთვალის ქვეშ მოთავსების გადაწყვეტილება არ იყო დაფუძნებული ინდივიდუალურ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც წარმოადგენდა საფუძვლებს სადავო ღონისძიების გასამართლებლად ლეგიტიმური მიზნების გათვალისწინებით; სადავო ღონისძიება არ იყო შეზღუდული დროში ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულებების ან დროებით მოთავსების დაწესებულების ადმინისტრაციას არ

ეკისრებოდა ვალდებულება რეგულარულად (ან საერთოდ) განეხილათ ამ ღონისძიების საფუძვლიანობა. მართლაც, ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობს რაიმე საფუძველი ასეთი ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მისაღებად, რუსეთის უზენაესი სასამართლო 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა „[არ] ითვალისწინებდა რაიმე [ინდივიდუალიზებული] გადაწყვეტილების მიღებას [ავტორის] კონტროლისა და ზედამხედველობის ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ".

97. ასეთ ვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ ევროსასამართლო მზად არის დაეთანხმოს რომ სადავო ღონისძიებას ჰქონდა გარკვეული საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში, იგი არ არის დარწმუნებული, რომ არსებული სამართლებრივი ბაზა შეესაბამება „კანონის ხარისხის" მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ დროებითი მოთავსების დაწესებულებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციას ანიჭებს ვიდეო თვალთვალის გამოყენების უფლებას, იგი საკმარისად არ განსაზღვრავს ამ უფლებამოსილებების ფარგლებს და მათი განხორციელების წესს, რათა უზრუნველყოს ინდივიდუალური ადეკვატური დაცვა თვითნებობისგან. ფაქტიურად, ეროვნული სასამართლოების განმარტებით, ეროვნული საკანონმდებლო ბაზა დროებითი მოთავსების დაწესებულებებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციას ანიჭებს შეუზღუდავ უფლებამოსილებას რომ მოათავსონ ყველა პირი წინასწარ პატიმრობაში, მუდმივი, სადღეღამისო ვიდეოთვალთვალის ქვეშ, უპირობოდ, დაწესებულების ნებისმიერ ტერიტორიაზე, საკნების ჩათვლით, განუსაზღვრელი ვადით და პერიოდული განხილვის გარეშე. ეროვნული კანონმდებლობა პრაქტიკულად არ გვთავაზობს გარანტიებს სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ძალადობის წინააღმდეგ.

98. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მზად არის დაეთანხმოს, დროებითი მოთავსების ჩვეულებრივი და გონივრული მოთხოვნების გათვალისწინებით, რომ შესაძლოა საჭირო გახდეს წინასწარი და სასჯელაღსრულების დაწესებულებების გარკვეული არეალის ან გარკვეული დაკავებული პირის მონიტორინგი მუდმივად, მათ შორის, CCTV სისტემით, იგი ადგენს რომ რუსეთში არსებული საკანონმდებლო ბაზა არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად მკაფიო, ზუსტ და დეტალურად, რათა უზრუნველყოს სათანადო დაცვა ხელისუფლების მიერ თვითნებური ჩარევისგან მომჩივნების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში.

99. აქედან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ გასაჩივრებული ღონისძიება არ იყო "კანონის შესაბამისი", როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი. შესაბამისად, არ არის საჭირო იმის გამოკვლევა, ატარებდა თუ არა იგი რომელიმე ლეგიტიმურ მიზანს, იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიულ

საზოგადოებაში“ და იყო თუ არა ამ მიზნების პროპორციული. კერძოდ, სასამართლო ღიად დატოვებს საკითხს, ქალი ოპერატორების მიერ CCTV კამერებით მუდმივი ვიდეოთვალთვალი ხორციელდებოდა თუ არა კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, რადგან, სასამართლოს აზრით, ეს არის სავარაუდო ჩარევის პროპორციულობის ელემენტი.

100. ამრიგად, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.